ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4356396

ნომერი: AR1657565

თარიღი : 26.01.2019

გაცემის თარიღი : 30.01.2019

გაცნობის თარიღი : 31.01.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხევძმარის , N 1 , (ნაკვ.1/4);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბადრი ბიბილეიშვილი პ/ნ 01030006895
- თბილისი მანგლისის ქ. N 11

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს საზოგადოებრივ -საქმიან ზონა 1 (სსზ-1)-ში, სადაც შესაძლებელია ამ წესების დანართი 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული თითოეული სახეობის არსებობა არა უმეტეს შენობის საერთო ფართობის 60%-ის. ვინაიდან თქვენს მიერ შერჩეული სახეობა საჭიროებს სპეციალური (ზონალური) შეთანხმებას, საჭიროა პირველ რიგში მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს, ხოლო საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემდგომ კი მომართოთ არქიტექტურის სამსახურს შესაბამისი მოთხოვნით, რომლის დროსაც ასევე გასათვალისწინებელი იქნება:

1. "მოთხოვნის შინაარსი -> ..მოთხოვნის ტექსტი" - მოთხოვნის ტექსტში დააკონკრეტეთ რა სახის აირსავსები საკომპრესორო შენობის განთავსება გსურთ. წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ საპროექტო შენობის (აირსერვისების საკომპრესორო) განთავსება იგეგმება სავარაუდოდ არსებული ელ გამანაწილებელი სატრანსფორმარორო შენობის მომიჯნავედ, უსაფრთხოების თვალსაზრისით, შემდგომში რაიმე არასასურველი პრეცენდენტის თავიდან აცილების მიზნით (ვინაიდან სამსახურისთვის უცნობია რა მანძილითაა შესაძლებელი აღნიშნული შენობის ერთმანეთთან მიმართებაში განთავსება), საჭიროა წარმოდგენილი იქნას შესაბამისი სამსახურის დასკვნა წარმოდგენილი სქემით საპროექტო შენობის განთავსების შესაძლებლობის თაობაზე , როგორც წერილობითი ფორმით ასევე დამოწმებული გრაფიკული მასალის სახით. საჭიროების შემთხვევაში ასევე წარმოდგენილი იქნას აირსერვისების ტექნიკური პასპორტი (მიმდინარე პროცესების უსაფრთხოების შესახებ);

2. "არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი" - ატვირთეთ ახალი დღეის მდგომარეობით, სხვადასხვა ხედიდან გადაღებული არსებული სიტიუაციის ამსახველი ფოტომასალა, სადაც ფოტოაპარატის მიერ დაფიქსირებული იქნება გადღების თარიღი.

3. წარმოადგინეთ განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს მინდობილი პირის წარმომადგენლობას სამსახურში. მინდობილობა გაცემული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებული სათანადო წესით.

4. წარმოადგიეთ იპოთეკარის თანხმობა, რომელიც გაცემული უნდ იყოს იპოთეკარის წესდების თანახმად უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილ იქნეს ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი)

5. საპროექტო შენობის განთავსების სიახლოვეს გადის წყალსადენის მილი (ს/კ # 01.00.499; მესაკუთრე სახელმწიფო), შესაბმამისად წარმოსადგენია სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობა წარმოდგენილი სქემით საპროექტო შენობის განთავსების შესაძლებლობის თაობაზე , როგორც წერილობითი ფორმით ასევე დამოწმებული გრაფიკული მასალის სახით.

თქვენ გეძლევათ 30 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის

წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.